

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 8

ლევან ასათიანი

2020 წლის ზაფხულის ბოლოდან გვიან შემოდგომამდე, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, პოლიტიკური ცხოვრება ახლო აღმოსავლეთში თითქოსდა მოლოდინის რეჟიმში უნდა გადასულიყო. თუმცა ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ რეგიონში სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია და აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და მის მომავალ ადმინისტრაციას, რომელიც დღეისათვის უკვე გამოიკვეთა, რამდენიმე პრობლემა დაუტოვა.

- პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის შუამავლობით, ხელშეწყობითა თუ ზეწოლით რიგმა არაბულმა ქვეყნებმა (არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ბაჰრეინი) დაიწყეს ისრაელთან ურთიერთობების აღდგენა, რასაც, წესით, უნდა მოჰყვეს პალესტინური („ჰამასი“, „ისლამური ჯიჰადი“) თუ შიიტური (ლიბანური „ჰეზბოლა“, ერაყის პროირანული მილიცია) რადიკალური ორგანიზაციების საპასუხო რეაქციები. *ამის გამოძახილი უნდა იყოს, ირანელი მეცნიერის მკველელობის საპასუხოდ, ამერიკული მისიის შენობაზე შესძლო თავდასხმის გამო ბაღდადიდან ამერიკის საელჩოს პერსონალის ნაწილობრივი ევაკუაცია.*
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო **სუდანის** (აღსანიშნავია, რომ არაბული ქვეყნების ლიგამ 1967 წელს სწორედ ხართუმში, სუდანის დედაქალაქში, გამოიმუშავა „სამი არას“ პრინციპი – არა ისრაელის ცნობას, არა მოლაპარაკებებს ისრაელთან, არა მშვიდობას ისრაელთან, რომელსაც ლიგის წევრი არაბული ქვეყნების დიდი ნაწილი მთელი ამ წლების განმავლობაში იცავდა) მიერ ისრაელის სახელმწიფოს ცნობა და რიგი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ (აშშ-ის მხრიდან სუდანის ტერორისტული ქვეყნების სიიდან ამოღება და სერიოზული ფინანსური გარიგებები) მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.
- ამ მოვლენებს დაემთხვა რეგიონში (მათ შორის საქართველოშიც) აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკლ პომპეოს სტუმრობა, რომლის საუდის არაბეთში ოფიციალური ვიზიტისას ისრაელის გაზეთებში გამოჩნდა „საიდუმლო“ ინფორმაცია, რომ მის შეხვედრას საუდის არაბეთის ფაქტობრივ მმართველთან, პრინც მუჰამად სალმანთან, დაესწრო ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნათანიაკუ (აღსანიშნავია, რომ ისრაელის მასმედიის ინფორმაციით, საუდის

არაბეთის მეფემ სალმან ალ საუდიმ არ იცოდა ნეთანიაჰუს ერ-რიადში ვიზიტის შესახებ (<https://www.timesofisrael.com/report-saudi-arabias-king-salman-was-not-informed-of-netanyahu-visit>).

- გასაგებია, რომ საუდის არაბეთის ახალგაზრდა მმართველის სურვილია, თუკი სპარსეთის ყურეში მისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე – შიიტური ირანი აშშ-ის მომავალ ადმინისტრაციასთან რაიმე მოლაპარაკებას გამართავს ახალ ბირთვულ შეთანხმებაზე, საუდის არაბეთმა უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში.
- ამ მოვლენებიდან ცოტა ხნით ადრე ირანის მეჯლისის კონსერვატიული ფრთის რამდენიმე წარმომადგენელმა მაინც წამოჭრა ირანის პრეზიდენტ ჰასან რუჰანის იმპიჩმენტის მეჯლისის სხდომაზე გატანის საკითხი, რაც საკმაოდ დაძაბული შიდა პოლემიკის შემდეგ საბოლოო კენჭისყრაზე აღარ გავიდა, საკმარისი ხმების „ვერ“ მოგროვების მიზეზით.
- ე.წ. რეფორმატორი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის წამოყენება უფრო იმის ნიშანი იყო, რომ კონსერვატორებმა დაიწყეს მზადება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, რომელიც, კონსტიტუციის შესაბამისად, ირანში 2021 წლის მაისში უნდა ჩატარდეს.
- სავარაუდოდ, პრეზიდენტ რუჰანის დასავლეთთან დათბობის წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის შედეგად მომძლავრებული კონსერვატორული ფრთა აღარ დაუშვებს არჩევნების გზით პრაგმატიკოს/რეფორმატორი პოლიტიკოსების აქტიურ პოლიტიკაში კიდევ ერთხელ მოსვლას.
- მოვლენები ირანში მკვეთრად დაიძაბა 27 ნოემბრის შემდეგ, როდესაც, როგორც ჩანს, კარგად დაგეგმილი ტერორისტული აქტის შედეგად, თეირანის გარეუბანში მოკლეს ირანელი მეცნიერი, „ირანული ბირთვული ბომბის მამად“ წოდებული მოჰსენ ფახრიზადე. *აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ირანის ბირთვული პროგრამის შემუშავებაში ჩართულ ფიზიკოსებზე ნადირობამ ტერორისტული აქტების ფორმა მიიღო და რამდენიმე ცნობილი ირანელი მეცნიერი შეიწირა.*
- ირანელი მეცნიერის მკვლელობის აქტი მკვეთრად დაგმო ირანულმა ისტაბლიშმენტმა. თეირანში მომიტინგეებმა დემონსტრაციულად დაწვეს ისრაელისა და აშშ-ის დროშები. ირანის სულიერი ლიდერის მრჩეველმა ქამალ ხარაზიმ (ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი 1997-2005 წლებში) განაცხადა, რომ ირანი სათანადო პასუხს გასცემს ამ მკვლელობას. *ირანული კონსერვატორული გაზეთის „ქეიჰანის“ ფურცლებზე გამოჩნდა ისრაელის საპორტო ქალაქ ხაიფაზე შეტევის მოწოდებაც.*
- ირანის მეჯლისმა დაჩქარებული წესით, პირველი მოსმენით, მიიღო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან (აესა – IAEA) ურთიერთობების შეწყვეტის კანონპროექტი. დოკუმენტი ურანის გამდიდრების 20%-მდე გაზრდისკენაც მოუწოდებს მთავრობას. *ცოტა ხნით ადრე აესა-მ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომ ირანმა 12-ჯერ გადააჭარბა 2015 წლის „ირანის ბირთვული*

პროგრამის შესახებ“ მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრულ ურანის მარაგების მოცულობას, რომლის ზოგიერთი პუნქტის გადახედვას ირანი 2018 წელს აშშ-ის შეთანხმებიდან გასვლის შემდეგ დემონსტრაციულად შეუდგა.

- ეს მოვლენები დაემთხვა აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის – ჯო ბაიდენის განცხადებას, რომ იგი მზად არის დაუბრუნდეს ირანთან ბირთვულ შეთანხმებას, თუკი ირანი თავის მხრივ მთლიანად შეასრულებს თავის ვალდებულებებს.
„ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოჩნდა რამდენიმე სტატია, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისრაელმა ირანული ატომური ბომბის მამა სწორედ იმიტომ მოკლა, რომ ჩაშალოს აშშ-ის დაბრუნება ირანის ბირთვულ შეთანხმებაში.
(<https://www.nytimes.com/2020/11/27/world/middleeast/iran-nuclear-scientist-assassinated-mohsen-fakhrizadeh.html>)
(<https://www.nytimes.com/2020/11/28/world/middleeast/israel-iran-nuclear-deal.html?action=click&module=RelatedLinks&pgtype=Article>)
- ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ გააკრიტიკა მეჯლისის მიერ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება და განაცხადა, რომ ეს ძლიერ ვნებს ირანის მცდელობებს დიპლომატიის გზით მიაღწიოს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას – ირანის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას. ირანის დღევანდელი მთავრობა ცდილობს დატოვოს ერთგვარი ნიშა და არ დახუროს საბოლოოდ დასავლეთთან მოლაპარაკებების შესაძლებლობები.

ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო ვნებები უკვე რამდენიმე ათეული წელია გრძელდება. მარტო ის რად ღირს, რომ მშვიდობის დარგში ნობელის პრემია ორჯერ იყო პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული ირანის ბირთვულ პროგრამასთან.

პირველად, როცა 2005 წელს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს და მის იმდროინდელ ხელმძღვანელს, ეგვიპტელ დიპლომატ მუჰამად ელ ბარადეის მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში „ძალისხმევისათვის, რათა არ დაუშვან ბირთვული ენერჯის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის და უზრუნველყონ მისი უსაფრთხო გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისთვის“. ამას წინ უძღოდა მოლაპარაკებების დაწყება ირანთან მანამდე დახურულ ბირთვულ პროგრამაზე.

მეორედ კი 2009 წელს, როცა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიენიჭა (ბევრი დამკვირვებლის აზრით, ავანსად, კაიროს უნივერსიტეტში წარმოთქმული საპროგრამო სიტყვის შემდეგ) პრემია „საერთაშორისო დიპლომატიის განმტკიცებისა და ხალხებს შორის თანამშრომლობის საგანგებო ძალისხმევისთვის“, რომლის ერთ-ერთი შედეგიც იყო 2015 წელს ირანთან მიღწეული ცნობილ „ბირთვული შეთანხმება“ (**Joint Comprehensive Plan of Action**) (ცალკე აღსანიშნავია, რომ აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტი იყო ბარაკ ობამას ზეობის დროს.)

არა მარტო ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ დილემად დღემდე რჩება ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო მიმდინარე პროცესები. მისი საბოლოოდ მოგვარება ირანის შიდა პროცესებთანაც არის დაკავშირებული, რადგან

ირანის სულიერი ლიდერის ალი ხამენეის (*ირანის კონსტიტუციით, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელი პირი*) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისა და კონსერვატიული ძალების მომძლავრების ფონზე სულ უფრო სათუო ხდება, რომ ახლო მომავალში ირანში გამოჩნდება პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც დასავლეთთან მოლაპარაკებების ლეგიტიმაცია ექნება.